

# მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
და გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის  
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის პროფესორ არჩილ ფრანგიშვილის სახით და მეორეს მხრივ, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“), წარმოდგენილი დირექტორის, დოქტორ ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით (შემდგომში „მხარეები“), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში სამეცნიერო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა ფიზიკის, მასალათმცოდნეობისა და სამთო ტექნოლოგიების მიმართულებებით ქართული სამეცნიერო სკოლების ტრადიციებსა და მიღწევებს, ახალგაზრდა თაობების განათლების სფეროში საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას,

თანხმდებიან შემდეგზე:

## მუხლი 1

წაახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას სამთო ტექნოლოგიების, ფიზიკისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებებით მეცნიერებისა და განათლების სფეროში და განახორციელებენ თანამშრომლობას ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით.



## მუხლი 2

„მხარეები“ ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლების განვითარებას და განახორციელებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს:

„უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს:

- „ინსტიტუტის“ თანამშრომელთა შრომების პოპულარიზაციას თავად და არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- „ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომელთა საჯარო ლექციების ორგანიზებას „უნივერსიტეტში“;
- მოთხოვნილების შესაბამისად აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას „ინსტიტუტის“ საჭიროებისათვის;
- „უნივერსიტეტის“ საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას „ინსტიტუტის“ თანამშრომელთათვის;
- „უნივერსიტეტის“ სასპორტო და კულტურის ბაზების გამოყოფას „ინსტიტუტის“ საჭიროებისათვის.

თავის მხრივ „ინსტიტუტი“ კისრულობს, რა „უნივერსიტეტისათვის“ ფიზიკის, სამთო ტექნოლოგიებისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებებით საბაზო სამეცნიერო დაწესებულებების როლის შესრულებას, იღებს ვალდებულებას ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ძალების სრული გამოყენებით:

- დაამყაროს მრავალმხრივი სამეცნიერო ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ერთობლივი კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად.
- ითანამშრომლოს „უნივერსიტეტთან“ ფიზიკის, სამთო ტექნოლოგიებისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებებით პროფესიული განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში;
- უზრუნველყოს თითოეულ ეტაპზე „უნივერსიტეტის“ დოქტორანტები და დოქტორანტურის პროგრამა შესაბამისი სამეცნიერო ბაზით;
- მისცეს საშუალება „უნივერსიტეტის“ სტუდენტებს და პროფესორებს ისარგებლონ „ინსტიტუტის“ სამეცნიერო ბიბლიოთეკით.

- მისცეს საშუალება „უნივერსიტეტის“ სტუდენტებს გაიარონ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა „ინსტიტუტის“ საცდელ ლაბორატორიებში;

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

#### მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

#### მუხლი 5

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2014 წლის 7 თებერვალს, ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი  
პროფესორი, აკადემიკოსი



გრიგოლ წულუკიძის სამთო  
ინსტიტუტის დირექტორი

ნიკოლოზ ჩიხრაძე  
პროფესორი

